



ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
REHABILITATION INITIATIVE FOR VULNERABLE GROUPS

პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვა

საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

ანტონ ქელბაქიანი

ნატალია ცაგარელი

სექტემბერი - ნოემბერი

2014 წელი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ფინანსური მხარდაჭერით

შინაარსი

შესავალი	3
პენიტენციური სისტემა	5
რეგისტრაცია.....	8
გაცნობა/გაცვლა.....	19
შენახვა/განადგურება.....	25
პრობაცია.....	29
რეგისტრაცია.....	30
გაცნობა/გაცვლა.....	34
შენახვა/განადგურება.....	36
გამოყენებული ლიტერატურა.....	37

შესავალი

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება მართლმსაჯულების სფეროში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია (მ.40, პ2 (VII)) განმარტავს, რომ „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას“ ... „ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ: ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:“ ... „მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე“. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა N10 ზოგად კომენტარში (პ.64) დაადგინა, რომ „საქმის განხილვის ყველა სტადია“ იწყება სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან ზედამხედველობიდან ან პატიმრობიდან გათავისუფლებამდე. ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში განმარტავს, რომ - „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას“.

პირადი ცხოვრების პატივისცემის მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. უარყოფითმა საჯაროობამ შეიძლება მოახდინოს ბავშვის სტიგმატიზაცია, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის შესაძლებლობაზე, მიიღოს განათლება, მოიძიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. კონფიდენციალური პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება არასასურველ გავლენას ახდენს ზოგადად ბავშვის რეინტეგრაციაზე.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“) განმარტავს, რომ „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დოსიე უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული უნდა იყოს მესამე მხარეებისთვის. ასლების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომელთაც პირდაპირ ეხებათ საქმეზე გადაწყვეტილება ან სათანადოდ უფლებამოსილი პირებით“¹. ამავე წესში ხაზგასმულია, რომ „პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, რომ ეფექტიანად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები, კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა

¹ პეკინური წესები, წესი 21.1

საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში“ ... „პერსონალის ყველა წევრმა პატივი უნდა სცეს არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლებას და კერძოდ, უნდა დაიცვას ყველა კონფიდენციალური საკითხი, რომელიც ეხება არასრულწლოვნებს ან მათ ოჯახებს და, რომელიც პერსონალისთვის ცნობილი გახდა მათი თანამდებობის გამო“³.

გარდა ამისა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს და ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევისათვის, ასევე განმარტავს, რომ (პ. 34.2) „დოსიეში არსებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ამის კანონიერი უფლება აქვთ და მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც აუცილებელია ინფორმაციის გამომთხოვი ორგანოს წინაშე არსებული დავალების შესრულებისათვის“, ... „საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის ვადის გასვლის შემდეგ დოსიე უნდა განადგურდეს ან გადაეცეს არქივს, სადაც მოქმედებს წესები მათი შინაარსის მესამე პირებისათვის არ გაცემის გარანტიების შესახებ“. აღნიშნულ რეკომენდაციაში საუბარია აგრეთვე არასრულწლოვან სამართალდამრღვევ პირებთან მომუშავე პერსონალის სავალდებულო კვალიფიკაციაზე.

დემოკრატიულ ქვეყნებში პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის ძირითად უფლებად განიხილება, „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“ ევროპის კავშირის ქარტიაში ცალკე მუხლი ეთმობა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ადამიანის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარების, მისი ღირსების დაცვის წინაპირობად მიიჩნევს. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პიროვნების განვითარების, მისი ღირსების დაცვის, მოქალაქის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლებებს, ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნული ქმნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის კონსტიტუციურ გარანტიასა და საფუძველს. „პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია“.

კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამუშავება ხდებოდეს მხოლოდ კანონიერი საფუძველით. ადამიანმა უნდა იცოდეს, როდის იქნება მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა ლეგიტიმური, რა უფლებები აქვს მას და რა გზით დაიცვას საკუთარი ინტერესები⁴.

პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა არსებითადაა დამოკიდებული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვაზე. კანონში ასახული პრინციპები, მათი შესრულების სავალდებულო პრინციპიდან

² პეკინური წესები, წესი 85

³ იქვე, წესი 87 (ე)

⁴ პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2014 წლის ანგარიში, გვ. 3

გამომდინარე, ამკვიდრებენ მონაცემთა დამუშავების ზოგად წესს და განსაზღვრავენ მონაცემთა დამმუშავებლების ქმედების კანონიერებას. საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ განამტკიცებს ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა სამართლიანობა და კანონიერება, მონაცემთა სუბიექტის ღირსების დაცვა, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის არსებობა, პროპორციულობა და ადეკვატურობა, მონაცემების ნამდვილობა და სიზუსტე, მონაცემთა შენახვა მხოლოდ მიზნის მისაღწევად აუცილებელი ვადით⁵.

პენიტენციური სისტემა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პერსონალური მონაცემი არის – „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“.

პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში. ძირითადი ფაილი, სადაც ხდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესახებ პერსონალური მონაცემების თავმოყრა არის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეები. პირადი საქმის წარმოება რეგულირდება *სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N82 ბრძანებით - (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესი)*. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრი და პირადი საქმის წარმოება მოიცავს დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიღებასთან, აღრიცხვასთან, გადაყვანასთან და გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას⁷. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია სპეციალური აღრიცხვის სამსახური, რომელიც არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და სასჯელაღსრულების დაწესებულებების სტრუქტურული ერთეული⁸. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრების და პირადი საქმის დამუშავება ხორციელდება ნახევრად ავტომატური გზით⁹. რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესი არის ერთიანი და არ არის ცალკე გამოიჭნული არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ არსებული სპეციფიკა.

⁵ იქვე, გვ. 5-6

⁶ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.2 (ა)

⁷ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N82

⁸ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N82, N97, N168, N176

⁹ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.2 (ე¹)

პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ასევე, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში¹⁰. ეს პროცესი მოიცავს მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს. ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ხდება ბავშვთა შესახებ საკმაოდ დეტალური მონაცემების დამუშავება, კერძოდ - მსჯავრდებულის ანკეტური მონაცემები, სასამართლო გადაწყვეტილება, დანაშაულის ხასიათი, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის დასჯა/წახალისების შესახებ, მსჯავრდებულის დაწესებულების თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობის შესახებ, მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ, განათლების შესახებ, მსჯავრდებულის შემოქმედებითი უნარი, სარეაბილიტაციო, სპორტულ და რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობა, მსჯავრდებულის წარსულში ჩადენილ დანაშაულთან დამოკიდებულების შესახებ და ა.შ.¹¹. ზოგიერთი აქ არსებული ინფორმაცია ასევე მუშავდება პირად საქმეებში, თუმცა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის დროს დამუშავებული ინფორმაცია არ ხდება პირადი საქმის ნაწილი. გამონაკლისია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათება/რისკების შეფასების დოკუმენტი, რომელიც მუშავდება ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესშიც და პერიოდულად ერთვება პირად საქმეს. ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ინფორმაციის დამუშავებაზე ძირითადად პასუხისმგებელია - სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი, მასწავლებელი და დაწესებულების დირექტორი. მონაცემების დამუშავება ხდება არაავტომატური გზით¹².

კანონმდებლობის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები¹³. ამ პროცესში მუშავდება სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემები. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირად საქმეებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას, საქმეში იდება უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა¹⁴, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად დამუშავებულ ინფორმაციას. თუმცა არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ესეთი სახის ცნობა. გარდა ამისა, ინფორმაციის დამუშავება ხდება სხვა ფორმითაც და ამ შემთხვევაში პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების სამსახურები ხელმძღვანელობენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით, სადაც არის მითითებითი ნორმა ესეთი სახის უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, ასევე გააჩნია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის შიდა ინსპექტირების სამმართველოს და საგამოძიებო დანაყოფებს¹⁵. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად საიდუმლო თანამშრომელი შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი¹⁶, თუმცა ეს არ გამორიცხავს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ ბავშვებთან მუშაობის შესაძლებლობას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სხვადასხვა

¹⁰ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N19

¹¹ იქვე, N19, მ.7

¹² კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, მ.2 (დ)

¹³ პატიმრობის კოდექსი, მ.55 / კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მ.12(დ)

¹⁴ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N82, მ.13 (1,დ)

¹⁵ კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მ.12(დ)

¹⁶ იქვე, მ.1(2,ი) / მ.16 (2)

მეთოდის გამოყენებით. ამ პროცესში არსებული მონაცემების დამუშავება ხდება არაავტომატური გზით.

პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მეთვალყურეობა და კონტროლი ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით¹⁷. აქვე აღნიშნულია, რომ ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალების გამოყენებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ბუნებრივია ამ პროცესში ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება, სადაც აუცილებელია არსებობდეს მისი დაცვის შესაბამისი სტანდარტები. აღნიშნული მონაცემების დამუშავება ხდება ავტომატური გზით¹⁸.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატული აქტია - კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. ამ კანონის მიზანია - „პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა“¹⁹. ამავე კანონის თანახმად - „კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“²⁰. ამავე კანონში ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების განმარტება - „მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრიანებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა“. კანონში აღნიშნულია, რომ არ შეიძლება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება²¹, თუმცა სულ ახლახანს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, აღნიშნულია რომ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება - „საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება

¹⁷ პატიმრობის კოდექსი, მ.54

¹⁸ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.2 (ე)

¹⁹ იქვე, მ.1

²⁰ კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, მ.3 (1)

²¹ იქვე, მ.6 (1)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით“. პატიმრობის კოდექსი²² და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში²³ აღნიშნულია, რომ პენიტენციური სისტემა უფლებამოსილია აწარმოოს დაწესებულებებში მომხდარი დანაშაული გამოძიება და განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. აქედან გამომდინარე, პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია და შესაბამისად მასზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის ზოგადი მოთხოვნები, მხოლოდ თუ ესეთი სახის მონაცემების დამუშავება ხდება ავტომატური გზით²⁴.

რეგისტრაცია

როგორც უკვე აღინიშნა ძირითადი დოკუმენტი პენიტენციურ სისტემაში, სადაც ხდება პერსონალური მონაცემების რეგისტრაცია/დამუშავება არის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეები. სპეციალური აღრიცხვის სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია პირადი საქმის წარმოებაზე, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატში²⁵, ასევე ცალ-ცალკე ყველა პენიტენციური დაწესებულებაში²⁶. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სამსახურის ფუნქციას კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს დაწესებულებებში არსებული შესაბამისი განყოფილებების მუშაობას, ზედამხედველობა გაუწიოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საქმის წარმოებას და აღრიცხვას²⁷. გარდა ამისა, ცენტრალურ აპარატში არსებულ სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა - „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ერთიანი რეესტრების წარმოება და მათი მონაცემების კომპიუტერულ-საინფორმაციო ბანკის შექმნა“²⁸.

სპეციალური აღრიცხვის სამმართველო შედგება 2 განყოფილებისგან - ბრალდებულთა სპეციალური აღრიცხვის განყოფილება და მსჯავრდებულთა სპეციალური აღრიცხვის განყოფილება²⁹. აღნიშნულ სამმართველოს შესაბამის განყოფილებებში, ფუნქციურად, არ არის განსაზღვრული ცალკე ჯგუფი, ვინც უნდა მუშაობდეს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა.

დაწესებულებებში არსებული სპეციალური აღრიცხვის განყოფილებების ფუნქციაა, თავის მხრივ ადგილებზე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საქმის წარმოება დეპარტამენტის

²² პატიმრობის კოდექსი, მ.55

²³ კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მ.12(დ)

²⁴ იქვე, მ.3 (1)

²⁵ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176

²⁶ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N97

²⁷ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176, მ.13 (3,ზ)

²⁸ იქვე, N176, მ.13 (3,გ)

²⁹ იქვე, N176, მ.13 (2,ა,ბ) & N168, მ.7

ცენტრალურ აპარატში არსებულ სპეციალური აღივანების სამსახურთან კოორდინირებულად³⁰.

პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმის წარმოების ელექტრონული ფორმით მონაცემების დამუშავების პრაქტიკა არსებობს, თუმცა ცალკე ასეთი ფორმით მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი ნორმა არ არსებობს. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოდ, რომ ეს არის მოქცეული ერთიან სტანდარტში და მასზეც ვრცელდება პირადი საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები, თუმცა ვფიქრობთ, რომ ელექტრონული საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა ცალკე მარეგულირებელი წესების არსებობა.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არის ოთხი დაწესებულება, სადაც განთავსებული არიან ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვნები. ეს დაწესებულებებია:

- №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება /ქ.ქუთაისი/. ამ დაწესებულებაში ხდება ბრალდებულ არასრულწლოვან ბიჭების განთავსება;
- №5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება /გარდაბნის მუნიციპალიტეტი/. ამ დაწესებულებაში ხდება არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულ გოგონათა განთავსება;
- №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება /ქ. თბილისი/. ამ დაწესებულებაში ხდება ბრალდებულ არასრულწლოვან ბიჭების განთავსება;
- №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება /ქ. თბილისი/. ამ დაწესებულებაში ხდება მსჯავრდებულ არასრულწლოვანი ბიჭების განთავსება;

№11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება არის ერთადერთი დაწესებულება, სადაც მხოლოდ არასრულწლოვნები არიან განთავსებულნი. სხვა დაწესებულებებში არასრულწლოვნები განთავსებული არიან მხოლოდ ცალკე განყოფილებებში და ძირითადად დაწესებულებები განკუთვნილია სრულწლოვანი პატიმრებისთვის. N11 დაწესებულების გარდა, სხვა დანარჩენ დაწესებულებებში სტრუქტურული ერთეულები, ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები და ზოგადად საქმის წარმოება მიმდინარეობს ერთიანი წესით, სადაც არ არის გამიჯნული არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებები. მართალია დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ამ დაწესებულებებში შექმნილია არასრულწლოვანთა განყოფილებები, თუმცა არ არის გაწერილი მათი ფუნქციები. მაგალითად, სპეციალური აღივანების განყოფილებაში საქმის წარმოება მიმდინარეობს ერთიანი წესით, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების მიმართ და მიღების პროცედურებს იმავე გზით გადის არასრულწლოვანი, რა გზითაც

³⁰ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N97, მ.8

სრულწლოვანი პირები³¹. არ არის განსაზღვრული სპეციალური ჯგუფი/პირები, ვისაც უნდა ჰქონდეს ბავშვებთან მუშაობის სპეციალური უნარები და კვალიფიკაცია.

პირადი საქმის წარმოების გარდა, პერსონალური მონაცემების სხვა გზით დამუშავებისას, ასევე არის ერთიანი წესი. როგორც უკვე აღვნიშნეთ პენიტენციურ სისტემაში უსაფრთხოების სამსახურს აქვს უფლებამოსილება აწარმოოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. უსაფრთხოების მთავარი სამმართველო არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული³², თუმცა იმავე პრინციპით, როგორც სპეციალური აღრიცხვის სამსახურის მუშაობისას, დაწესებულებებშიც ასევე შექმნილია უსაფრთხოების განყოფილებები³³, რომელსაც კოორდინაციას და კონტროლს უწევს დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში არსებული სამმართველო. მთავარ სამმართველოში არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები - კინოლოგიური მომსახურების განყოფილება, ოპერატიული სამმართველო, ოპერატიული განყოფილება, ანალიტიკური განყოფილება, ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, პულტის განყოფილება, საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება. მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა - „დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და ანალიზი, კონფიდენციალური და ოპერატიული აღრიცხვის საქმეების რეგისტრაცია და გადაადგილების კონტროლი, კონფიდენტა ალფავიტური აღრიცხვის კართოტეკის წარმოება³⁴“.

N11 დაწესებულების გარდა, დაწესებულებებში არსებული უსაფრთხოების განყოფილებები არის კონკრეტული დაწესებულებების ერთიანი სისტემის ნაწილი, სადაც არ არის განსაზღვრული სპეციალური ჯგუფი/პირები, ვინც არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციალური და თავისებურებები უნდა იცოდნენ და მუშაობის ეს პრინციპები ზუსტად ექნებოდათ ფუნქციონალურ უფლება-მოვალეობებში განსაზღვრული. ასევე არ არის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატში არსებულ სამმართველოში არასრულწლოვნებთან სპეციალურად მომუშავე ჯგუფი/პირები და სამართლებრივად არც აქ არის განსაზღვრული არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებები შესაბამის ნორმატიულ აქტებში. გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ ცენტრალურ აპარატში თავს იყრის ინფორმაცია ყველა დაწესებულებიდან.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას, პირად საქმეში იდება უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა³⁵, რომელიც, შეიცავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად დამუშავებულ ინფორმაციას. კანონმდებლობით ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ეს ცნობა, თუმცა პრაქტიკის თანახმად ამ ცნობაში, როგორც წესი, არის ინფორმაცია კონკრეტული ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილების, სუიციდისაკენ

³¹ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N97, მ.19

³² სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176, მ.12

³³ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N97, მ.6

³⁴ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176, მ.12 (3,ბ)

³⁵ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N82, მ.13 (1,დ)

მიდრეკილების, სხვა პირებთან დაპირისპირების, კრიმინალური მენტალიტეტის, სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ა.შ. თუმცა არ არსებობს რეგულაციები, თუ როგორ, რა წყაროებზე დაყრდნობითა და რა ფორმით ხდება აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, რამდენად აქვს მას სანდოობა, რამდენად შეიცავს ობიექტურ და უტყუარ ინფორმაციას. ბუნებრივია უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა მნიშვნელოვანია კონკრეტული პირის უსაფრთხოების დაცვის ან მის მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების მიზნით, თუმცა არასწორი ფორმით ინფორმაციის დამუშავებამ და მისმა გამჟღავნებამ შესაძლოა მიაყენოს ზიანი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არა მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, არამედ გათავისუფლების შემდეგაც.

აღნიშნული ხარვეზი ზრდის რისკს, რომ შესაძლოა ბავშვის შესახებ არსებულ მონაცემებზე ხელი მიუწვდებოდეთ იმ პირებს ან ორგანოებს, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ამ მონაცემების არასწორი ფორმით გამოყენებამ ან გაუმართლებელმა გასაჯაროებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის სტიგმატიზაცია, რაც პირდაპირი შემაფრთხილებელი ფაქტორია საზოგადოებაში ეფექტურად ინტეგრაციისათვის. გარდა ამისა, ზოგადად სტიგმატიზაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე და ძირეულად შეცვალოს მისი დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების, ზოგადად სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ. ეს ფაქტორები ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედებს ბავშვის საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პირის მიმართ (როგორც არასრულწლოვნების პერიოდში, ასევე სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ) ზეწოლის, მუქარისა და შანტაჟის მიზნით, რაც საკმაოდ დიდი რისკის შემცველია ზოგადად სამართალდამცავ სისტემაში წლების განმავლობაში არსებული მანკიერი პრაქტიკისა და უკანონოდ მოპოვებული პირადი ინფორმაციის არაერთხელ გასაჯაროების გამო.

გარდა ამისა, ინფორმაციის დამუშავება ხდება სხვა ფორმითაც და ამ შემთხვევაში პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების სამსახურები ხელმძღვანელობენ ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით, სადაც არის მითითებითი ნორმა ესეთი სახის უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ასევე გააჩნია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის შიდა ინსპექტირების სამმართველოს და საგამოძიებო დანაყოფებს³⁶.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად - „კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-

³⁶კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მ.12(დ)

სამძებრო მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა³⁷.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად დამუშავებული მონაცემები ძირითადად წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს³⁸ და მათზე წვდომის საკითხი რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად დამუშავებული მონაცემები წარმოადგეს სრულიად საიდუმლო ცნობებს მიკუთვნებულ ინფორმაციას³⁹, ხოლო ესეთი სახის საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება ხდება სამართალდამცავი ორგანოების გაცემული ნებართვით⁴⁰, სპეციალური შემოწმების საფუძველზე. თუმცა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად - ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება - სახელმწიფო საიდუმლობისათვის მიკუთვნებული ინფორმაციის დამუშავებაზე, გარდა ამ კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემებისა⁴¹, რომელი მუხლის ფორმულირებაც არის აღნიშნული ზემოთ. აქედან გამომდინარე, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას მიკუთვნებულ მონაცემთა მხოლოდ ავტომატურ დამუშავებაზე.

ამავე კანონში ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების განმარტება - „მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა“.

კანონში აღნიშნულია, რომ არ შეიძლება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება⁴², თუმცა სულ ახლახანს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, აღნიშნულია რომ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება - „საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით“. პატიმრობის კოდექსში⁴³ და ოპერატიულ-სამძებრო

³⁷კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.3 (1)

³⁸კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მ.7 (3, გ)

³⁹საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N42, კარი III, პ.5.2

⁴⁰ იქვე, კარი V, პ.3.1

⁴¹კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.3 (3, დ)

⁴² იქვე,მ.6 (1)

⁴³პატიმრობის კოდექსი, მ.55

საქმიანობის შესახებ კანონში⁴⁴ აღნიშნულია, რომ პენიტენციური სისტემა უფლებამოსილია აწარმოოს დაწესებულებებში მომხდარი დანაშაული გამოძიება და განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. აქედან გამომდინარე, პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია და შესაბამისად მასზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნები, მხოლოდ თუ ესეთი სახის მონაცემების დამუშავება ხდება ავტომატური გზით⁴⁵.

როგორც წესი, პენიტენციურ სისტემაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება არავტომატური გზით. დოკუმენტების დამუშავება ხორციელდება საიდუმლო საქმის წარმოების წესების დაცვით, თუმცა მხოლოდ ხელით, ქალაქში მუშაობით და ფაქტობრივად არ არსებობს ავტომატურად მონაცემების დამუშავების პრაქტიკა.

აქედან გამომდინარე, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის ნორმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას მიკუთვნებულ მონაცემთა მხოლოდ ავტომატურ დამუშავებაზე, ფაქტობრივად სამართლებრივი დაცვის მექანიზმის გარეშე ტოვებს პენიტენციურ სისტემაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპზე აგებული უსაფრთხოების სისტემა პენიტენციურ სისტემაში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის პერიოდში და ფაქტობრივად უცვლელად აგრძელებს ფუნქციონირებას დღევანდელ პენიტენციურ სისტემაშიც. ეს პრაქტიკულად არის პოლიციური მართვის სტილი, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ პენიტენციური სისტემა წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო, მათ შორის პოსტ-საბჭოთა საქართველოშიც.

მიუხედავად იმისა, რომ 2000-იანი წლებიდან პენიტენციური სისტემა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა (ევროსაბჭოს რეკომენდაციით) და ამჟამად აგრძელებს ფუნქციონირებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახით, უსაფრთხოების მართვის სისტემა ფაქტობრივად არ შეცვლილა (აქ არ იგულისხმება სტატიკური უსაფრთხოების სისტემა⁴⁶) და იმავე პრინციპით და იმავე მეთოდებით აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ეს იყო პენიტენციური სისტემის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნის პერიოდში.

ევროსაბჭოს სტანდარტების თანახმად⁴⁷ - „ციხეებს უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა და გამოყოფილი იყვნენ საჯარისო საპოლიციო და სხვა სისხლის სამართლის საგამოძიებო სამსახურებიდან“. ფაქტობრივად ევროსაბჭოს არც ერთი აღნიშნული რეკომენდაცია ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის - გარე დაცვის

⁴⁴კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მ.12(დ)

⁴⁵კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, მ.3 (1)

⁴⁶ სტატიკური უსაფრთხოების სისტემის ქვეშ მოიაზრება ვიდეო კონტროლის სისტემა, განახლებული ინფრასტრუქტურა და ა.შ.

⁴⁷ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ციხის ევროპული წესების შესახებ, პ.71

სამსახურში არიან სამხედრო სამსახურის წვევამდებლები, უსაფრთხოების სამსახური ფუნქციონირებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპით და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია - საგამომიებო დეპარტამენტი.

ბუნებრივია, წარსული მძიმე მემკვიდრეობის გამო, საკმაოდ რთულია უსაფრთხოების სისტემის სწრაფი მოდიფიცირება, განსაკუთრებით დიდი ზომის დაწესებულებებში, სადაც არ არის ბალანსი თანამშრომლებისა და პატიმრების რაოდენობას შორის. თუმცა, აუცილებელია ეტაპობრივად მოხდეს უსაფრთხოების სისტემის ცვლილება და პენიტენციურმა სისტემამ უარი თქვას პოლიციური მეთოდებით მართვაზე. უნდა ჩამოყალიბდეს დინამიური უსაფრთხოების სისტემა, როგორც ეს არის ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში. დინამიური უსაფრთხოების სისტემა აგებული უნდა იყოს მულტიდისციპლინურ მუშაობაზე, სხვადასხვა სამსახურების კოორდინირებულ საქმიანობაზე.

ასეთი სახის ცვლილებების დაწყება, სავსებით შესაძლებელია იმ დაწესებულებებში, სადაც განთავსებული არიან ბავშვები, ვინაიდან ადამიანური რესურსები და სისტემის ცვლილება ამ ჯგუფთან მიმართებაში, ამ ეტაპზე უკვე შესაძლებელია. ბავშვებთან მიმართებაში უნდა ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც აგებული იქნება მულტიდისციპლინური მუშაობის პრინციპზე, სადაც ჩართული იქნება სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რაც გამოირიცხავს პოლიციური სისტემის ტიპის მმართველობას, დაცული იქნება კონფიდენციალობა და მორგებული იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესზე.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია პულტის განყოფილება⁴⁸. ზოგადად ამ განყოფილების ფუნქციაა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეო (ზოგ შემთხვევაში აუდიო) კონტროლის განხორციელება ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. ეს სისტემა არის ცენტრალიზებული და იმართება სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან. პულტის განყოფილება ლოგიკურად არის მჭიდროდ და პირდაპირ დაკავშირებული ოპერატიულ-ტექნიკურ განყოფილებასთან. თუმცა უსაფრთხოების სამმართველოს ზოგადი ფუნქციები გარდა, როგორც არის - „მუდმივი დაკვირვების განხორციელება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ქცევაზე მათი განთავსებისა და სამუშაო ადგილებში⁴⁹“, ცალკე არ არის გაწერილი რა ფუნქცია აქვს პულტის განყოფილებას. კერძოდ, რამდენ ხანს აწარმოებენ დაწესებულებებში ვიდეო და აუდიო ჩანაწერს? რამდენი ხნით ინახება ჩანაწერები? ვის აქვს მასზე ხელმისაწვდომობა? არის თუ არა ჩანაწერები დაყოფილი პატიმრთა კატეგორების მიხედვით და ა.შ.

კანონმდებლობაში გვხვდება მხოლოდ ზოგადი ფორმულირება, თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელია აუდიო-ვიდეო საშუალებებით მეთვალყურეობის განხორციელება, კერძოდ -

⁴⁸ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176, მ.12 (2, გ.ბ)

⁴⁹ იქვე, მ.12 (3,გ)

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე - თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა⁵⁰. ასევე აღნიშნულია, რომ „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესს განსაზღვრავს მინისტრი“⁵¹. თუმცა ესეთი სახის წესი ჯერ-ჯერობით მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული არ არის.

გარდა ამისა, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი ადგენს მონაცემთა დამუშავებლის ვალდებულებას, შექმნას ვიდეო ჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ⁵².

პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ, 2014 წელს გამოცემულ იქნა ანგარიში საქართველოში პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ. აღნიშნულ ანგარიშში, პენიტენციური სისტემის მიმართ, ზუსტად ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები⁵³, რომლებიც ეხებოდა:

- აუდიო, ვიდეო, ელექტრონული ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მისი განხორციელების, ასევე პერსონალური მონაცემების შემცველი და კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვის, წაშლისა და განადგურების საკითხების რეგულირებას;
- სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებულობასა და მიზნის პროპორციულობის შეფასებას;
- სასჯელაღსრულების დაწესებულების შენობაში მიმდინარე ვიდეო/აუდიო კონტროლის თაობაზე გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსებას;
- დაწესებულებაში მყოფ პირთა ინფორმირებას მათ მიმართ კონტროლის ამა თუ იმ ფორმის გამოყენების შესახებ;
- ვიდეო და აუდიო მონიტორინგის განხორციელების პროცესების გამიჯვნას;

⁵⁰ პატიმრობის კოდექსი, მ.54 (1)

⁵¹ იქვე, მ.54 (9)

⁵² კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.12 (6)

⁵³ პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2014 წლის ანგარიში, გვ. 17

- სასჯელაღსრულების სისტემაში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურებისა და სამუშაო ინსტრუქციების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადებას და ინფორმირებას უსაფრთხოების პოლიტიკისა და მონაცემთა დაცვის საკითხებზე.

როგორც შესავალ ნაწილში ავღნიშნეთ, საერთაშორისო შესაბამისად, არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გავლილი ტრენინგი ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში⁵⁴. ასევე აღნიშნულია, რომ პერსონალმა პატივი უნდა სცეს არასრულწლოვანის პირად ცხოვრებას⁵⁵ და ამისათვის მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარები.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოსამსახურის მიღების წესს არეგულირებს სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტები, კერძოდ - საქართველოს პატიმრობის კოდექსი, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და საქართველოს მთავრობის დადგენილება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს საშუალო განათლება მაინც, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და თავისი პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები“⁵⁶. ასევე აღნიშნულია, რომ - „პირი სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღებისას, აგრეთვე სისტემის ორგანოს მოსამსახურე სამსახურში მიღების შემდეგ, დადგენილ ვადაში გადის სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსებს, მათ შორის, *ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში*, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში“⁵⁷. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს შემდეგი ჩანაწერი - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღების, სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლის წესსა და პირობებს, აგრეთვე იმ თანამდებობათა ჩამონათვალს, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ მუხლის მოთხოვნები, ადგენს მინისტრი“⁵⁸.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - „სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს: განცხადება; Curriculum Vitae (CV); განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;

⁵⁴ პეკინური წესები, წესი 85

⁵⁵ იქვე, წესი 87

⁵⁶ საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12⁵ (2)

⁵⁷ იქვე, მ.12⁵ (5)

⁵⁸ საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.12⁵ (8)

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა – ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები“⁵⁹. ამავე კანონის თანახმად - „სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა“⁶⁰. როგორც წესი, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად⁶¹.

საქართველოს მთავრობის N137 დადგენილების თანახმად - „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება 18-დან 40 წლამდე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა და თავისი პიროვნული თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი. 18 დან 21 წლამდე პირები მიიღებიან მხოლოდ უმცროსი სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე ... საქართველოს მოქალაქეთა სისტემის ორგანოში მიღება ხდება სპეციალური კონკურსის წესით ... სისტემის ორგანოებში სპეციალური კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს განსაზღვრავს მინისტრი ... უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე მიიღებიან საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე პირები ... უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები ... კანდიდატი სამსახურში მიღებისას ან მოსამსახურე სამსახურში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში გადის სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში. პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების წესსა და პირობებს ადგენს მინისტრი“⁶².

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ფუნქციაა - „სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება“⁶³, ასევე უშუალოდ ცენტრის დირექტორის უფლებამოსილებაა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო პროგრამების და მათი ჩატარების განრიგის დამტკიცება⁶⁴.

⁵⁹ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.25

⁶⁰ იქვე, მ.19

⁶¹ იქვე, მ.29

⁶² საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ12⁵(8)

⁶³ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N59 მ.3 (ა)

⁶⁴ იქვე, მ.5 (ი)

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N75 ბრძანება არეგულირებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების (სასწავლო) კურსების გავლის წესსა და პირობებს. ამავე ბრძანებაში არის იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელსაც სასწავლო ცენტრი ახორციელებს, კერძოდ:

- სამინისტროს აპარატში დასაქმებულ თანამშრომელთა სპეციალიზებული გადამზადების კურსები;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების თანამშრომელთა პირველდაწყებითი საბაზისო მოკლევადიანი და გრძელვადიანი მომზადების კურსები;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების თანამშრომელთა სპეციალიზებული გადამზადების კურსები;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა პირველდაწყებითი საბაზისო მოკლევადიანი და გრძელვადიანი მომზადების კურსები;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სპეციალიზებული გადამზადების კურსები;
- დაწინაურების კანდიდატთა სპეციალიზებული გადამზადების კურსები;
- ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესების მოსამზადებელი სპეციალიზებული კურსები;
- სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და შენახვის წესების მოსამზადებელი სპეციალიზებული კურსები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ სისტემაში თანამშრომელთა სამსახურში აყვანასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ზოგადი კრიტერიუმები. კანონმდებლობაში არის საუბარი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მომზადების გავლის ვალდებულების შესახებ, თუმცა რა შინაარსის უნდა იყოს გადამზადების კურსები, ამ კუთხით ერთადერთი სავალდებულო ნორმა კანონმდებლობაში არის ის, რომ პირმა გადამზადება უნდა გაიროს ადამიანის უფლება დაცვის სფეროში. ასევე ერთ-ერთ ბრძანებაში, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, არის სასწავლო კურსების ჩამონათვალი⁶⁵.

ამ ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოთაღნიშნული კურსების ჩამონათვალი არის ის კურსები, რომელთა მეშვეობითაც ტარდება შესაბამისი გადამზადება, ხოლო უშუალოდ მოდულებს განსაზღვრავს სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი.

თუმცა აქვე ისმის კითხვა, არასრულწლოვნეთან მომუშავე პროფესიონალები, რომელი სასწავლო კურსის მიხედვით უნდა გადიოდნენ გადამზადებას, რა შინაარსის მოდულების მიხედვით გადიან გადამზადებას. შესაძლებელია სპეციალიზირებულ სასწავლო კურსის ფარგლებში სასწავლო ცენტრის დირექტორმა შეიმუშავოს (ან არ შეიმუშავოს) და დაამტკიცოს

⁶⁵ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N75

შესაბამისი სასწავლო მოდული, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე სახის სავალდებულო ნორმა საკანონმდებლო სივრცეში არ გვხვდება.

გარდა ამისა, არსებობს თანამდებობის პირები/ ორგანოები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცენტრალური აპარატში ან/და სამინისტროს ქოლგის ქვეშ, ვისაც აქვთ შეხება ბავშვთა პერსონალურ მონაცემებთან და ამ მხრივ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამ პირების კვალიფიკაციის და გადამზადების საკითხი, რასაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

გაცნობა/გაცვლა

პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ვის შეიძლება ჰქონდეს ასეთი სახის მონაცემებზე წვდომა ვის უნდა ჰქონდეს მისი გაცნობის უფლება და როგორ უნდა ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა უწყებებს და პირებს შორის.

„პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს - „მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში“⁶⁶. ამავე კანონის საფუძველზე - „მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან ... მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამმუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ“⁶⁷.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ პენიტენციურ სისტემაში პერსონალური მონაცემები სხვადასხვა ფორმით მუშავდება. ბრალდებული/მსჯავრდებულის პირადი საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია სპეციალური აღრიცხვის სამსახური, რომელსაც აქვს შესაბამისად წვდომა პირადი საქმის მასალებზე. თუმცა კანონმდებლობით ასევე ცალკე განსაზღვრულია ის სპეციალურ უფლებამოსილ პირთა წრე, ვისაც აქვს პირადი საქმის გაცნობის უფლება⁶⁸, კერძოდ:

⁶⁶ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.18

⁶⁷ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.17 (1, 4)

⁶⁸ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N90

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და დეპარტამენტის მოსამსახურე, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო დავებზე სამინისტროს წარმომადგენლობას;
- სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი და უფროსის მოადგილე;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები;
- დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს მოსამსახურეები;
- დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს მოსამსახურეები;
- დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეები;
- დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს მოსამსახურეები;
- დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მოსამსახურეები;
- დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დირექტორები და მათი მოადგილეები;
- დაწესებულებების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებების მოსამსახურეები;
- დაწესებულებების სოციალური განყოფილებების მოსამსახურეები;
- დაწესებულებების უსაფრთხოების განყოფილებების მოსამსახურეები;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოს სამსახურებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მოსამსახურეები.

ზემოთ აღნიშნული პირთა წრე არის საკმაოდ ფართო. რასაკვირველია არსებობს ლოგიკა, რომ აღნიშნულ პირებს სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ჰქონდეთ წვდომა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირად საქმეებზე, თუმცა არც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N90 ბრძანებაში (ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხა) და არც N82 ბრძანებაში (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესი) არ არის გათვალისწინებული ის სტანდარტები, რაც პერსონალური მონაცემთა გამჟღავნებასთან⁶⁹ და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს⁷⁰. კერძოდ, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ის მიზეზი და მიზანი, თუ რა შემთხვევაში შეუძლია ამა თუ იმ პირს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირად საქმეს გაეცნოს, ასევე არ ხორცილდება სპეციალურ აღრიცხვა ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით ხდება ნებართვის გაცემა პირადი საქმის გაცნობაზე და შესაბამისად არც ეს ინფორმაცია ინახება მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.

გარდა ამისა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მხოლოდ იმ პირებს, ვისაც აქვს

⁶⁹კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.18

⁷⁰ იქვე, მ.17

შესაბამისი ცოდნა და უნარები. უფლებამოსილ პირთა ნუსხა, ვისაც აქვს პირადი საქმის გაცნობის უფლება არის საკმაოდ მოცულობითი და ამ ნორმის საფუძველზე არასრულწლოვანთა პირად საქმეებს შესაძლოა ქაოტურად, აღურიცხავად და უკონტროლოდ გაეცნონ ის პირები, ვისაც არ აქვს გავლილი ტრენინგი ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში⁷¹. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეების გაცნობის უფლებამოსილ პირების განსაზღვრისას აუცილებელია არსებობდეს ნუსხა შესაბამისი კვალიფიკაციის და ცოდნის მითითებით.

ამ თემის ირგვლივ ცალკე უნდა უნდა განვიხილოთ, მსჯავრდებულ ბავშვთა ვადაზე ადრე გათავისუფლების ან მოუხდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში ბავშვთა პერსონალური მონაცემებზე წვდომის საკითხები.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა შეიძლება, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა კანონმდებლობით გათვალისწინებული საშელავათო ვადა⁷². ადგილობრივი საბჭო არის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო, ხოლო საბჭოს წევრთა რაოდენობა, საბჭოების რაოდენობა და ტერიტორიული განსჯადობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. ასევე საბჭოს დებულებას ამტკიცებს მინისტრი⁷³. სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია კი ახორციელებს საბჭოს საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობას, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ასევე კანონით⁷⁴.

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის N151 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, ხოლო ამავე ბრძანებით ჩამოყალიბდა - ადგილობრივი საბჭოს ტიპიური დებულება. ამ დებულების თანახმად, საბჭო შედგება 5 წევრისაგან. მისი წევრები შეიძლება იყვნენ⁷⁵:

- „ა) საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ცენტრალური აპარატის ან სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის 1 წარმომადგენელი;
- ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) 1 წარმომადგენელი;
- გ) არასამთავრობო ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი;

⁷¹ პეკინური წესები, წესი 85

⁷² პატიმრობის კოდექსი, მ.40, 42, 43

⁷³ იქვე, მ.41

⁷⁴ იქვე, მ.44

⁷⁵ სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N151, მ.3 (2)

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი. 1

ე) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელი.“

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გააჩნია სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს საბჭოს წევრის ფუნქციები. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის გამოცდილება ... არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს დამატებით უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, ხოლო ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს დამატებით უნდა ჰქონდეს სპეციალური მომზადება ან/და სამუშაო გამოცდილება გენდერულ საკითხებზე და ქალი პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით“⁷⁶.

სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიას გააჩნია ადგლობრივ საბჭოებზე საზედამხედველო ფუნქცია და ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის უფლებამოსილება⁷⁷.

სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია შედგება 7 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში შედიან⁷⁸:

- „ა) როტაციის წესით – საპარლამენტო უმრავლესობის ერთი წარმომადგენელი, უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა ერთი წარმომადგენელი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი, უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ერთი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენელი;
- სამინისტროს სისტემის ორი თანამშრომელი.
- სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თითო წარმომადგენლის კანდიდატურებს მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს საკოორდინაციო საბჭო. სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოვალეობები და საქმიანობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.
- სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელს, უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელსა და სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს ამტკიცებს მინისტრი, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.
- სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის

⁷⁶ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N151, მ.3 (7,8)

⁷⁷ პატიმრობის კოდექსი, მ.44 / სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N185

⁷⁸ პატიმრობის კოდექსი, მ.44 (2)

წევრთა წარმომადგენელი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი და სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატები ექვემდებარებიან როტაციას ყოველი 1 წლის შემდეგ“.

პატიმრობის კოდექსში, ასევე მუდმივმოქმედი კომისიის დებულებაში მუდმივმოქმედი კომისიის წევრთა კვალიფიკაციაზე და გადამზადებაზე არანაირი რეგულაციები არ არსებობს.

ადგილობრივი საბჭოს და მუდმივმოქმედი კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზუნველყოფას ახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოს სამსახურებრივი უზრუნველყოფის სამმართველო⁷⁹. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებია:

- „ა) ადგილობრივი საბჭოსა და მუდმივმოქმედი კომისიის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ბ) შემოსული კორესპონდენციების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება;
- გ) მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოს სხდომის ოქმების წარმოება;
- დ) სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის და სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე მასალების მომზადება;
- ე) ადგილობრივი საბჭოსა და მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განხილული საქმეების რეესტრის წარმოება“.

აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლების/სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვის და გადაწყვეტის პროცესში არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემებს ეცობა - არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია, სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოს სამსახურებრივი უზრუნველყოფის სამმართველო.

ადგილობრივ საბჭოში მხოლოდ ერთი წევრის მიმართ არსებობს სავალდებულო მოთხოვნა, რომ ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რაც ვფიქრობთ, რომ არ არის სწორი მიდგომა. ადგილობრივი საბჭოს ყველა წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ან/და კანონმდებლობით უნდა არსებობდეს შესაბამისი გადამზადების გავლის ვალდებულება, სანამ ეს პირები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგებიან.

მუდმივმოქმედი კომისიის წევრების მიმართ არ არის დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები, სადაც იქნებოდა მითითება შესაბამისი ცოდნაზე და გამოცდილებაზე. მუდმივმოქმედი კომისია ახორციელებს ზედამხედველობას ყველა საბჭოს საქმიანობაზე და

⁷⁹ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N155 ბრძანება, მ.6 (ზ!), ბრძანება N185 (8), N151 (8)

არა მარტო არასრულწლოვანთა საქმეების განმიხლველი საბჭოს. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა, კომისიის ერთ წევრს მაინც ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებების თაობაზე.

სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოს სამსახურებრივი უზრუნველყოფის სამმართველო ახორციელებს მუდმივმოქმედი კომისიის და ზოგადად ყველა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას. მიზანშეწონილი იქნებოდა, აღნიშნული სამმართველოს სტრუქტურაში, გამოიყოს ცალკე ჯგუფი/პირი/პირები, რომელსაც ექნებოდათ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებზე მუშაობის უფლებამოსილება. შესაბამისი ჯგუფის/პირის/პირების გამოყოფის შემთხვევაში, შესაბამის ნორმატიულ აქტში აუცილებლად უნდა გაიწეროს ან საკვალიფიკაციო მოთხოვნები ან შესაბამისი გადამზადების გავლის ვალდებულება არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობის თავისებურებების თაობაზე.

საინტერსო საკითხია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში ხორციელდება⁸⁰, ვის აქვს იქ არსებულ მონაცემების გაცნობის უფლება. ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში მონაცემების დამუშავებისას მასზე ხელმისაწვდომობა აქვთ სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს, მასწავლებლებს და ექიმს. ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ძირითადად შემოიფარგლება ინდივიდუალურად, პროფესიონალების ირგვლივ დამუშავებული ინფორმაციით, თუმცა მულტიდისციპლინური მუშაობის პროცესში⁸¹ (რომელიც ინდივიდუალური დადგეგმვის პროცესის ნაწილია) ხდება ინფორმაციის გაცლა სხვადასხვა პროფესიონალებს შორის.

გარდა ამისა, სოციალური განყოფილების უფროსი ინდივიდუალური დადგეგმვის პროცესის ორგანიზების ნაწილში აქტიურად არის ჩართული⁸² და სასჯელის ინდივიდუალური დადგეგმვის პროცესის სუპერვიზიასაც ახორციელებს, რის გამოც ამ პროცესში არსებულ მონაცემებზე მასაც მიუწვდება ხელი. ხოლო დაწესებულების დირექტორის ფუნქციას ინდივიდუალური გეგმის დამტკიცება, გეგმის შეჩერება, ასევე გეგმის შეწყვეტა და ზოგადად ამ პროცესის ზედამხედველობა⁸³ აქედან გამომდინარე, ამ პროცესში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე ბუნებრივია მასაც მიუწვდება ხელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე არ არსებობს პენიტენციურ სისტემაში აუდიო-ვიდეო ჩანაწერების განხორციელების დეტალური მარეგულირებელი ნორმები. ამ საკითხის დარეგულირებისას, რასთან დაკავშირებითაც არსებობს კიდევ პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი რეკომენდაციები, უნდა განისაზღვროს, ასევე, ასეთი სახის მონაცემების გაცნობაზე უფლებამოსილ პირთა წრე.

⁸⁰ სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N19

⁸¹ იქვე, N19, მ.3

⁸² იქვე, N19, მ.1 (4)

⁸³ იქვე, N19, მ.1

რაც შეეხება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად დამუშავებულ მონაცემებს ისინი ძირითადად წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს⁸⁴ და მათზე წვდომის საკითხი რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად დამუშავებული მონაცემები წარმოდგეს სრულიად საიდუმლო ცნობებს მიკუთვებულ ინფორმაციას⁸⁵, ხოლო ესეთი სახის საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება ხდება სამართალდამცავი ორგანოების გაცემული ნებართვით⁸⁶, სპეციალური შემოწმების საფუძველზე.

შენახვა/განადგურება

გაეროს სტანდარტები განმარტავს, რომ „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დოსიე უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული უნდა იყოს მესამე მხარეებისთვის“⁸⁷. გარდა ამისა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს და ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის, ასევე განმარტავს: „საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის ვადის გასვლის შემდეგ დოსიე უნდა განადგურდეს ან გადაეცეს არქივს, სადაც მოქმედებს წესები მათი შინაარსის მესამე პირებისათვის არ გაცემის გარანტიების შესახებ“.

კანონში “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” აღნიშნულია, რომ მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.⁸⁸

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე დგება მისი დაპატიმრებიდან გათავისუფლებამდე. გათავისუფლების შემდეგ პირადი საქმე ინახება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების არქივში. პირადი საქმის წარმოების წესს, საქმისთვის დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალს და არქივში მისი შენახვის ვადას განსაზღვრავს მინისტრი⁸⁹. მიუხედავად აღნიშნული ნორმისა, პირადი საქმეების შენახვის წესი მოქმედი კანონმდებლობით (მინისტრის შესაბამისი ბრძანებით) განსაზღვრული არ არის, რაც პრაქტიკულად იწვევს პირადი საქმეების უვადოდ შენახვას. არსებული პრაქტიკით, საქმეები ინახება დაწესებულებების არქივში.

⁸⁴ კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მ.7 (3, გ)

⁸⁵ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N42, კარი III, 3.5.2

⁸⁶ იქვე, კარი V, 3.3.1

⁸⁷ პეკინური წესები, წესი 21.1

⁸⁸ კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მ. 4

⁸⁹ საქართველოს პატიმრობის კოდექსი მ.6

სასჯელალსრულების დეპარტამენტის დებულების თანახმად, დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს შემადგენლობაში არის არქივის განყოფილება⁹⁰. დაწესებულებებს აქვთ საკუთარი არქივები (სადაც ინახება პირადი საქმე), თუმცა ისინი არ არის დეპარტამენტის არქივის განყოფილების დაქვემდებარებაში. ის ფაქტი, რომ შესაბამისი რეგულაციების არარსებობის გამო, პირადი საქმეები ინახება უვადოდ, იწვევს დაწესებულების არქივების გადატვირთვას, საქმეების დიდი რაოდენობისა და დოკუმენტაციის მოცულობის გამო, კიდევ უფრო ძნელდება მათი დაცულობის საკითხის მოგვარება და იზრდება პერსონალური მონაცემების არამართებული გასაჯაროების ან არაუფლებამოსილი პირების მიერ გაცნობის რისკი. აქვე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმეები არ განეკუთვნება ეროვნული არქივისთვის გადასაცემ დოკუმენტს, როგორც წესი (გამონაკლისი შემთხვევების გარდა - მაგ: განსაკუთრებული ისტორიული ან პოლიტიკური მნიშვნელობა) მათ არ გააჩნიათ განსაკუთრებული ღირებულება რაც აუცილებელს გახდის აღნიშნული დოკუმენტების განსაკუთრებით ხანგრძლივი დროით შენახვას. ისინი განეკუთვნება დაწესებულების საარქივო ფონდს და პრაქტიკული საჭიროების ვადის გასვლის შემდეგ უნდა ნადგურდებოდეს დადგენილი წესით. შესაბამისად საჭიროა არსებობდეს პირადი საქმეების შენახვისა და განადგურების დადგენილი წესი, რაც უზრუნველყოფს პატიმართა/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვას უკანონო გამჟღავნებისგან.

ამჟამად დეპარტამენტში მოქმედებს საექსპერტო კომისია, რომელიც ამ ეტაპზე დაკავებულია დაზიანებული პირადი საქმეების განადგურების რეგულირებით და მომავალში გეგმავს პირადი საქმეების შენახვის ვადების შესახებ მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირადი საქმეების შენახვის წესში ცვლილებების პროექტის მომზადებას. კომისია გეგმავს ცვლილებების პროექტი შესათანხმებლად წარუდგინოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცენტრალურ საექსპერტო კომისიას, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურას (როგორც პერიოდულად ამ ინფორმაციის მომხმარებლებს).

მართალია მისასაღებელია ის საქმიანობა რაც დაწყებულია საექსპერტო კომისიის ფარგლებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დარეგულირებას საჭიროებს არა მხოლოდ პირადი საქმეების, არამედ სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტების, პენიტენციურ სისტემაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებისას დამუშავებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების წესი, რაც ჯერ-ჯერობით დღის წესრიგში არ დგას.

რაც შეეხება დაწესებულების არქივების საქმიანობას, ცალკე საარქივო განყოფილებები და არქივარიუსის შტატი არ არსებობს (გარდა N8 სასჯელალსრულების დაწესებულებისა, სადაც არის არქივარიუსი და ექვემდებარება სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას). კანონში მითითებული არქივები, სადაც პირადი საქმე უნდა ინახებოდეს არის სპეციალური აღრიცხვის განყოფილების დაქვემდებარებაში და არ ექვემდებარება დეპარტამენტის საარქივო განყოფილებას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის N196 ბრძანების თანახმად,

⁹⁰ სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176, მ.8¹ (გ)

სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას უწევს დაწესებულებათა არქივების მუშაობასა და სახელმწიფო დაწესებულებათა დოკუმენტაციის მომზადებას არქივებში ჩასაბარებლად, განსაზღვრავს და დაინტერესებულ დაწესებულებებთან ერთად ხელს უწყობს დაწესებულებათა არქივების მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფასა და განვითარებას, მათში დოკუმენტების დაცვისა და გამოყენების უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პენიტენციური დაწესებულებების არქივებში საქმეთა შენახვისა და განადგურების საკითხი გადაწყდეს სახელმწიფოში საარქივო მასალების შენახვა-განადგურების ერთიანი სტანდარტის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის N72 ბრძანების შესაბამისად, რომელიც ადგენს დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხას. აღნიშნული ბრძანებით, საქართველოს სამინისტროებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებს ეთხოვათ შეიმუშაონ საუწყებო ნუსხები (დოკუმენტების შენახვის ვადების მითითებით)⁹¹ და არქივთან შეთანხმების შემდეგ დაამტკიცონ დადგენილი წესით. ბრძანებით დადგენილ ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხაში პატიმრების პირადი საქმეები (ან ანალოგიური ტიპის დოკუმენტი) არ ფიგურირებს. დოკუმენტების შენახვის ვადების განსაზღვრის, მათი შესანახად და გასანადგურებლად შერჩევის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის დაწესებულებებში იქმნება მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიები,⁹² რომელთა შემადგენლობაში შედიან ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების კვალიფიციური სპეციალისტები. კომისიას ხელმძღვანელობს დაწესებულების ერთერთი ხელმძღვანელი მუშაკი. მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიები დაწესებულების არქივთან და საქმისწარმოების სამსახურთან ერთად, განსაზღვრავენ დაწესებულებაში დოკუმენტების შესანახად და გასანადგურებლად შერჩევის წესს, ორგანიზაციას უწევენ დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას და ახორციელებენ კონტროლს მის ჩატარებაზე.

კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულთა პირადი საქმეები უნდა ინახებოდეს შესაბამისი წესით და მასში მოთავსებული დოკუმენტები უნდა იყოს შეკრული. მსჯავრდებულებზე წარმოებული პირადი საქმის დაკარგვის შემთხვევაში, იგი აღდგენილ უნდა იქნეს. ამისათვის, უნდა მოხდეს დაქტილოსკოპირება, ფოტოგრაფირება, მსჯავრდებულის დაწვრილებითი დაკითხვა და მისი პასუხების სააღრიცხვო დოკუმენტში არსებულ მონაცემებთან შედარება. სასამართლოდან გამოითხოვება სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები, რომელიც არის მსჯავრდებულის დაწესებულებაში მოთავსების საფუძველი. პირველ რიგში, გამოითხოვება სასამართლო დოკუმენტები იმ პირებზე, რომლებსაც უმთავრდებათ სასჯელის ვადა. აღდგენილი პირადი საქმის გარეკანზე კეთდება წარწერა „აღდგენილი“. მსჯავრდებულებზე პირადი საქმეების შენახვის

⁹¹ იუსტიციის მინისტრის ბრძანება N72 „დაწესებულების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ, მუხლი N3)

⁹² იუსტიციის მინისტრის ბრძანება N72, მუხლი 3, ნაწილი 1

უზრუნველყოფის მიზნით, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ხდება მათი შედარება დაწესებულებაში არსებულ მსჯავრდებულთა რეალურ რაოდენობასთან.⁹³

გათავისუფლებულთა და გარდაცვლილ მსჯავრდებულთა პირადი საქმეები ინახება პენიტენციური დაწესებულების არქივში.

სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ამოწმებს გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა პირად საქმეებს არქივში ჩაბარებამდე, ასევე, კანონის თანახმად მოხდა თუ არა გათავისუფლება.

გარდა არაავტომატური ინფორმაციის დამუშავებისა, პირადი საქმეები (არასრულად) მუშავდება ავტომატური საშუალებებით. ამჟამად არ არის დარეგულირებული ავტომატური საშუალებებით დამუშავებული პერსონალური მონაცემების შენახვის საკითხიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მასალებიც ინახება უვადოდ. საჭიროა განისაზღვროს ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით დამუშავებული მასალების შენახვის ფორმა. დაკონკრეტდეს არაავტომატურად დამუშავებული პერსონალური მონაცემები საქმესთან ერთად ინახება არქივში გადაცემის შემდეგ (მაგ: დისკით) თუ კომპიუტერში სადაც ხდებოდა მისი შევსება. აქაც დგება საკითხი, რამდენად დაცულია კომპიუტერში განთავსებული პერსონალური ინფორმაცია არაუფლებამოსილი პირის მხრიდან ან უფლებამოსილი პირის მხრიდან არასაჭიროებისამებრ წვდომისაგან. ელექტრონული დოკუმენტების შენახვის ვადები შეესაბამება მატერიალურ მატარებლებზე დოკუმენტების ანალოგიური სახეობის შენახვის ვადებს. შესაძლებელია იმ მატერიალურ მატარებლებზე დოკუმენტის განადგურება, რომლის შენახვა ნებადართულია ელექტრონული დოკუმენტის სახით⁹⁴.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.⁹⁵

მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.⁹⁶

კანონი ასევე ადგენს, რომ მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით, აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი და აღრიცხოს გარკვეული ინფორმაცია, მათ შორის მონაცემთა შენახვის ვადა.⁹⁷

⁹³ სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრის N82 ბრძანება, მუხლი 12, ნაწილი 19

⁹⁴ იუსტიციის მინისტრის N72 ბრძანების (მუხლი 2, ნაწილი 10) შესაბამისად

⁹⁵ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ, მ.17

⁹⁶ კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ მ.18

⁹⁷ იქვე, მ.19 (ზ)

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადაყვანისას პირადი საქმე იგზავნება აღნიშნულ დაწესებულებაში, რაც ასევე ქმნის რისკს, რომ სასჯელადსრულების დაწესებულების ის თანამშრომლები რომლებსაც არ აქვთ გავლილი შესაბამისი გადამზადება ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებში შესაძლოა გაეცნონ პირადი საქმის პატიმრის არასრულწლოვნების პერიოდში შევსებულ ნაწილს.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული, აგრეთვე სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შენახვისა და განადგურების პროცედურები. პირადი საქმისგან განსხვავებით, არ ხდება მათი დაწესებულების არქივისთვის გადაცემა, თუმცა სხვა დეტალური რეგულაციები ინდივიდუალური დაგეგმვის მასალების დაცულობისა და გაუმჟღავნებლობის უზრუნველსაყოფად არ არსებობს.

რაც შეეხება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესს, პატიმრობის კოდექსის თანახმად, აღნიშნულ პროცედურებს განსაზღვრავს მინისტრი.⁹⁸ დამატებითი რეგულაციები არც ამ მიმართულებით ყოფილა შემუშავებული, შესაბამისად უცნობია რა ვადით ინახება გაკეთებული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები და როგორია მათი განადგურების წესი, მოცემული საკითხების გადაწყვეტა არც საექსპერტო კომისიის დღის წესრიგშია გათვალისწინებული. აღნიშნულ მასალასთან დაკავშირებით, შესაბამისი რეკომენდაციები იქნა გაცემული პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი მონაცემთა რეგისტრაცია-გაცნობის ნაწილში.

პ რ ო ბ ა ც ი ა

პრობაციის ეროვნული სააგენტო ფუნქცია არასაპატიმრო სასჯელის (თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასჯელის სახით იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შეზღუდვის) და პირობითი მსჯავრის აღსრულება პრობაციის ღონისძიებების გამოყენების გზით⁹⁹. გარდა ამისა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაა ასევე განრიდების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლოს სამუშაოს აღსრულების ორგანიზება.

პირობითი მსჯავრის და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების პროცესში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, შესაბამის პრობაციის ბიუროებში ხორცილდება პერსონალური მონაცემების დამუშავება. პერსონალური მონაცემების დამუშავება ძირითადად ხორციელდება მსჯავრდებულთა პირადი საქმის წარმოებით, რაზეც პირველ რიგში პასუხისმგებელია პრობაციის ოფიცერი¹⁰⁰. თუმცა საქმის წარმოების პროცესში,

⁹⁸ პატიმრობის კოდექსი, მ 54, ნაწილი 9

⁹⁹ კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ, მ.12 (3,ბ)

¹⁰⁰ კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ, მ.40 / სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N74, მ.6

პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან გარკვეული სახით შეხება აქვთ ასევე სოციალურ მუშაკებს, რასაც ქვემოთ შევხებით.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება ასევე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში. შესაბამისი ნორმატიულ აქტი განსაზღვრავს რისკებისა და საჭიროებების შეფასების, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს, სადაც მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელია პრობაციის ოფიცერი¹⁰¹. თუმცა კანონმდებლობით ცალკე არის დარეგულირებული არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი, სადაც პრობაციის ოფიცრის გარდა, პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ასევე მონაწილეობენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები¹⁰².

რეგისტრაცია

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პერსონალური მონაცემების დამუშავებაში მონაწილეობენ სხვადასხვა პირები/ორგანოები. პრობაციის ოფიცრები არიან ის პროფესიონალები, ვინც პირველ რიგში არიან პასუხისმგებელი პირადი საქმის წარმოებაზე, კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, პრობაციის ოფიცერი - „შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულებას ახორციელებს დადგენილი წესით, მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მიხედვით¹⁰³ მსჯავრდებულის მიერ კანონით დადგენილი რეჟიმის მოთხოვნების შესრულების, აგრეთვე მის შესახებ სხვა ინფორმაციის რეგისტრაციას ახორციელებს დადგენილი წესით, სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით¹⁰⁴“. გარდა ამისა პრობაციის ოფიცერი - „წარმოებაში არსებულ სააღსრულებო საქმეებთან დაკავშირებით პერიოდულად აწვდის შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს პრობაციის ბიუროს უფროსს¹⁰⁵“.

კანონმდებლობაში ასევე მითითებულია, რომ პრობაციის ბიურო, საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ, კანცელარიისათვის განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს ბიუროს სპეციალისტებისა და შესაბამისი ელექტრონული მართვის სისტემების საშუალებით¹⁰⁶. შესაბამის რეგულაციებში აღნიშნულია პრობაციის ბიუროს სპეციალისტის ფუნქციები საქმის წარმოების პროცესში. კერძოდ პრობაციის ბიუროს სპეციალისტი - „უზრუნველყოფს პრობაციის ბიუროში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, აღრიცხვას, დამუშავებას, შენახვასა და დაცვას ... ახორციელებს მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის განახლებას კომპეტენციის ფარგლებში ... უზრუნველყოფს საქმისწარმოების და

¹⁰¹ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N52

¹⁰² სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N9

¹⁰³ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N74, მ.6 (ვ)

¹⁰⁴ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N74, მ.6 (ზ)

¹⁰⁵ იქვე, N74, მ.6 (პ)

¹⁰⁶ იქვე, N74, მ.7 (1)

დასრულებული საქმეების დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებასა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით პრობაციის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემას¹⁰⁷“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივად იკვეთება, რომ პრობაციის ბიუროში მონაცემების დამუშავების გარკვეული ფორმით დამუშავების შემდეგ, ეს მონაცემები გადაეცემა პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ცენტრალურ აპარატს. პრობაციის ეროვნული სააგენტოში ასევე მიმდინარეობს პერსონალური მონაცემების დამუშავება სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რასაც დეტალურად განვმარტავთ ქვემოთ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება - „მსჯავრდებულთა პირადი საქმეების დადგენილ ნომენკლატურასთან შესაბამისობაში მოყვანის და დასრულებული საქმეების არქივში შენახვის უზრუნველყოფა“¹⁰⁸. ამავე სააგენტოს აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება - „გეგმურად ან არაგეგმურად შეამოწმოს პრობაციის ოფიცრების/თავისუფლების შეზღუდვის ოფიცრის მიერ მსჯავრდებულთა პირადი საქმისწარმოების მიმდინარეობა და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა, შემოწმების შედეგების შესახებ შეადგინოს დასკვნა და წარუდგინოს სააგენტოს უფროსს¹⁰⁹“. საერთაშორისო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს სერვერული ცენტრებისა და კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების დაცვა და ადმინისტრირება, კომპიუტერული და სხვა ელექტრონული ტექნიკის გამართული ფუნქციონირება“¹¹⁰.

საკმაოდ მოცულობითია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ფუნქციები¹¹¹ და ბუნებრივად იკვეთება, რომ იგი მონაწილეობს გარკვეული სახის პერსონალური მონაცემების დამუშავებაში. მაგალითად ამ სამმართველოს ფუნქციაა - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციაში მყოფ მსჯავრდებულთა, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განრიდებულთა კვალიფიციური ინდივიდუალური ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ორგანიზება“¹¹²“.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საქმისწარმოების პროცესში არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებებზე (გარდა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესისა), გვხდება მხოლოდ ერთი ნორმა, რომელიც შეეხება პრობაციის ოფიცერს. კერძოდ, კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ - „პრობაციის ბიუროში გამოიყოფა არანაკლებ ერთი პრობაციის ოფიცერი, რომელიც მუშაობს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან“¹¹³. ამ

¹⁰⁷ იქვე, N74, მ.7 (3)

¹⁰⁸ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N903 მ.9 (1, ე)

¹⁰⁹ იქვე, N903 მ.9 (7, ა)

¹¹⁰ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N903 მ.9 (8, ზ)

¹¹¹ იქვე, N903 მ.9 (9)

¹¹² იქვე, N903 მ.9 (9, ა)

¹¹³ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N74 მ.5 (4)

ჩანაწერის გარდა არ გვხდება პრობაციის ოფიცრის უფრო დეტალური ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა, არ არის მსგავსი ჩანაწერი სხვა პროფესიონალებთან მიმართებითაც, რომლებიც ამუშავებენ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს, მაგალითად სოციალური მუშაკების მიმართ.

ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტო ცენტრალურ აპარატში, სადაც, როგორც წესი, თავს იყრის ძირითადი მონაცემები, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულების მიერ მონაცემების დამუშავებისას, სამართლებრივად არ არის განსაზღვრული და გათვალისწინებული არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებები, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები. ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა შემდგომში განგვეხილა პრობაციის სააგენტოში სამსახურში მიღების წესი.

ცალკე უნდა შევხვით სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს და კონკრეტულად, რომელი პროფესიონალები არიან ამ კუთხით მონაცემების დამუშავებაში ჩართულნი. კანონმდებლობის თანახმად - „მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას ახორციელებს სოციალური მუშაკი, პრობაციის ოფიცრისა და ფსიქოლოგის მონაწილეობით“¹¹⁴. გარდა ამისა, არსებობს ასევე ერთი საინტერესო ჩანაწერი კანონმდებლობაში - „არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას სააღსრულებო საქმე რჩება იმავე პრობაციის ოფიცრის წარმოებაში, რომელიც არასრულწლოვანების პერიოდში აწარმოებდა სააღსრულებო საქმეს“¹¹⁵. ამ ჩანაწერებიდან ბუნებრივია იკვეთება, რომ პრობაციის ბიუროს დონეზე არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში მონაწილეობს ცალკე ჯგუფი, თუმცა ამ კუთხით მნიშვნელოვანია ის კვალიფიკაცია რაც ამ პროფესიონალებს უნდა გააჩნდეთ და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ ამ კუთხით სამსახურში მიღების პროცედურები.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში მოსამსახურეთა მიღების წესს არეგულირებს შემდეგი სახის ნორმატიული აქტები - საქართველოს კანონი სასჯელის აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა მინისტრის ბრძანება №903.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“¹¹⁶. ამავე კანონში აღნიშნულია, რომ - „პრობაციის ოფიცერი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს უმაღლესი განათლება ... პრობაციის ოფიცერი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში -

¹¹⁴ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N9 მ.1 (3)

¹¹⁵ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N9 მ.4 (2)

¹¹⁶ კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მ.9 (1)

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გადის პრობაციის ოფიცრის სპეციალურ სასწავლო კურსს, რომლის დასრულებისას აბარებს შესაბამის გამოცდას¹¹⁷.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - „სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს: განცხადება; Curriculum Vitae (CV); განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა – ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები“¹¹⁸. ამავე კანონის თანახმად - „სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა“¹¹⁹. როგორც წესი, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად¹²⁰.

არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად - „პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის და სააგენტოს თანამშრომლების შრომითი ურთიერთობები რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით“¹²¹.

როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე პრობაციის სისტემაში სამწუხაროდ კანონმდებლობის დონეზე ამ ეტაპზე არ არსებობს თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კრიტერიუმი - შესაბამისი განათლება. ერთადერთ სავალდებულო კრიტერიუმად ამ შემთხვევაშიც არის მხოლოდ უმაღლესი განათლება და კანონმდებლობა ამ მხრივ არ ზღუდავს დამქირავებელს სამსახურში აიყვანოს პირი, რომელსაც არ აქვს მიღებული შესაბამისი განათლება.

კანონმდებლობით განსაზღვრულია მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების გავლის ვალდებულება. თუმცა ესეთი სახის ვალდებულება არის მხოლოდ პრობაციის ოფიცრის მიმართ¹²² და თავისუფლების შეზღუდვის ოფიცრის მიმართ¹²³. სხვა პროფესიონალების მიმართ კანონმდებლობით არ არსებობს გადამზადების გავლის

¹¹⁷ იქვე, მ.91 (1,2)

¹¹⁸ კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.25

¹¹⁹ კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.19

¹²⁰ კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მ.29

¹²¹ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №903, მ.5

¹²² არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ კანონი, მ.9¹ (2)

¹²³ იქვე, მ.9² (2)

ვალდებულება, თან იმის პარალელურად, რომ სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით ისედაც ზოგადი კრიტერიუმები არის განსაზღვრული.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ფუნქციაა - „სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება“¹²⁴, ასევე უშუალოდ ცენტრის დირექტორის უფლებამოსილებაა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების და მათი ჩატარების განრიგს დამტკიცება¹²⁵.

აქედან გამომდინარე, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი განსაზღვრავს რა სახის მოდულის შესაბამისად უნდა მოხდეს პრობაციის ოფიცრებისა და თავისუფლების შეზღუდვის ოფიცრების გადამზადება. .

თუმცა აქაც პენიტენციური სისტემის მსგავსად ისმის კითხვა, არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალები, რომელი სასწავლო კურსის მიხედვით უნდა გადიოდნენ გადამზადებას, რა შინაარსის მოდულების მიხედვით გადიან გადამზადებას შეიცავს თუ არა ეს მოდულები თემატიკას - ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში¹²⁶. შესაძლებელია სპეციალიზირებულ სასწავლო კურსის ფარგლებში სასწავლო ცენტრის დირექტორმა შეიმუშავოს (ან არ შეიმუშავოს) და დაამტკიცოს შესაბამისი სასწავლო მოდული, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე სახის სავალდებულო ნორმა საკანონმდებლო სივრცეში არ გვხვდება.

გაცნობა/გაცვლა

პენიტენციური სისტემისგან განსხვავებით, პრობაციის და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემაში, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისაც შესაძლოა ჰქონდეთ მსჯავრდებულთა პირადი საქმეების გაცნობის უფლება. ასევე არ არის განსაზღვრული სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში კონკრეტულად ვინ არიან უფლებამოსილნი გაეცნონ პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლოგიკურად იმ პირებს/ორგანოებს, ვინც მონაწილეობს პერსონალურ მონაცემთა რეგისტრაციაში და ზოგადად დამუშავებაში, აქვთ ესეთი სახის მონაცემების გაცნობის შესაძლებლობა. თუმცა ამ კუთხით კანონმდებლობაში ჩვენ არ გვხვდება რეგულაციები იმასთან დაკავშირებით თუ რა შემთხვევაში, როდის და რა საფუძვლით შეიძლება პირი გაეცნოს ასეთი სახის მონაცემებს და ასევე არ არის გათვალისწინებული არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებები. თუმცა ვფიქრობთ, რომ მაინც ცალკე განვიხილოთ მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმების,

¹²⁴ სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N59 (3, ა)

¹²⁵ იქვე, N59 (5, ი)

¹²⁶ პეკინური წესები, წესი 85

ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის, აგრეთვე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის და ამ ვადის შემცირებასთან დაკავშირებული პროცედურები.

მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის, აგრეთვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია¹²⁷. კომისია შედგება კომისიის 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- „ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის 1 თანამშრომელი;
- ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის 2 თანამშრომელი;
- გ) როტაციის წესით – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენელი“.

მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობა რეგულირდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N208 ბრძანების საფუძველზე (*საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ*). აღნიშნულ ბრძანებაში, მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის პროცესში განსახილველი საკითხებისას არ არის გათვალისწინებული შესაბამისი რეგულაციები, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განხილვის თავისებურებებს. ასევე არ არის არსად საუბარი კომისიის წევრთა შესაბამის ცოდნასა და კვალიფიკაციაზე. რაც შეეხება კომისიის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას, მას ახორციელებენ ეროვნული სააგენტოს სისტემის ის მოსამსახურეები, რომლებსაც განსაზღვრავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი¹²⁸.

აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ მუდმივმოქმედი კომისია იხილავს ყველა მსჯავრდებულის საქმეებს ერთიანი წესით და ამ კუთხით არ არის ჩამოყალიბებული არასრულწლოვნების გაქმეების განხილვის სპეციფიკა და თავისებურებები. ასევე არ არის განსაზღვრული შესაბამისი ცოდნის, კვალიფიკაციის ან/და გადამზადების ვალდებულება კომისიის წევრების მიმართ ზოგადად. რაც შეეხება მუდმივმოქმედი კომისიის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას, მას უნდა ახორციელებდნენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს მხოლოდ ის მოსამსახურეები, ვისაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და აქვს გავლილი შესაბამისი გადამზადება არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებებზე, რისი ვალდებულებაც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

¹²⁷ კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ, მ.21¹

¹²⁸ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N208, მ.11

შენახვა/განადგურება

პერსონალური ინფორმაციის შენახვა-განადგურების ნაწილში პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების ანალოგიური ხარვეზებია პრობაციის სისტემაშიც, გარდა იმ განსხვავებებისა, რომ პრობაციის სიტემაში არ ხდება ოპერატიულ-სამმებრო დანიშნულებით მონაცემების დამუშავება და აუდიო ჩაწერა (კანონმდებლობაში ესეთი სახის რეგულაციები არ არსებობს).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მსჯავრდებულთა პირადი საქმეების არსებულ ნომენკლატურასთან შესაბამისობაში მოყვანისა და დასრულებული საქმეების არქივში შენახვის უზრუნველყოფა, საქმისწარმოების და დასრულებული საქმეების დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და სათანადო წესით შენახვა (დაარქივება)¹²⁹; მოცემული ნორმაც, ისევე როგორც სასჯელაღსრულების შემთხვევაში მხოლოდ მითითებითა და შესაბამისი რეგულაციების დამდგენი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი გამოცემული არ არის.

კანონმდებლობაში არსებობს ჩანაწერი, რომლის თანახმად, სოციალური მუშაკი განრიდებასა და მედიაციასთან დაკავშირებულ საქმიანობების ჩანაწერებს ინახავს პრობაციის შესაბამისი ბიუროს ოფისში, სათანადოდ დაცულ ადგილას. ამ ჩანაწერების შენახვის ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით¹³⁰.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონქვემდებარე აქტებში არ არის დაკონკრეტებული რას გულისხმობს „სათანადო წესით“ დაარქივება, როგორია აღნიშნული ინფორმაციის დაცულობის სტანდარტები, რა ვადით ინახება მითითებული დოკუმენტები და როგორ ხდება მათი განადგურება.

აღსანიშნავია, რომ პრობაციის სიტემაში, ასევე არ არის განსაზღვრული სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების წესი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც პენიტენციურ, ასევე პრობაციის სისტემაში საკანონმდებლო დონეზე არსებობს უამრავი ხარვეზი, რომელიც დიდი რისკის ქვეშ აყენებს ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვას. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მართო საკანონმდებლო რეგულირება ბოლომდე ვერ იძლევა გარანტიას, რომ ასეთი სახის მონაცემები სრულად იქნება დაცული, თუმცა ეს არის პირველი და აუცილებელი ნაბიჯი ამ პრობლემის გადაჭრის გზაზე. საკანონმდებლო რეგულირების შემდეგ, უნდა შეიქმნას სისტემა საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკულად აღსრულების მონიტორინგის მიზნით, მონაცემების, როგორც არაავტომატური, ნახევრად ავტომატური, ასევე ავტომატური დამუშავების პროცესში.

¹²⁹ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N903 მ. 9, (ქ,ღ)

¹³⁰ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება ბრძანება №29, მ.6

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია;
2. გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10;
3. ევროპის კავშირის ქარტია „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“ ;
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;
5. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მარლთმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“);
6. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „ციხის ევროპული წესების შესახებ“;
7. საქართველოს კონსტიტუცია;
8. 2014 წლის ანგარიში, საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის შესახებ;
9. კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ;
10. პატიმრობის კოდექსი;
11. კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ;
12. კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ;
13. კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ;
14. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N42;
15. კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;
16. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N82 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების შესახებ;
17. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N97 - პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ;
18. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N168 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ;
19. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N176 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;
20. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N19 - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
21. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N59 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდების დატკიცების თაობაზე;
22. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N75 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების (სასწავლო) კურსების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე;
23. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N90 - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ;

24. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N151 - საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ;
25. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N185 - საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
26. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N9 - არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ;
27. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N74 - საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ;
28. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N903 - საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე;
29. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N208 - საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
30. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N29 - განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;
31. იუსტიციის მინისტრის ბრძანება N72 - „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადის მითითებით)“ დამტკიცების შესახებ;
32. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N196 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დებულების შესახებ.